სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.138.000.699

# ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №31

## 2010 წლის 31 აგვისტო

## ქ. ახალციხე

## ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულება (დანართი №1).

2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №4 დადგენილება.

4. აღნიშნული დებულება სავალდებულოა სახელმძღვანელოდ ახალციხის მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ორგანოსათვის.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე მ. გიქოშვილი**

### შეტანილი ცვლილებები:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №43- სსმV, №58, 02.12.2010წ., მუხ.1751

***დანართი №1***

## ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულება

### მუხლი 1. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანო

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანო (შემდგომში – ტერიტორიული ორგანო) იქმნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ფუნქციაა განამტკიცოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კავშირი მოსახლეობასთან, ორგანიზაციულად უზრუნველყოს და გააკონტროლოს საკრებულოს თანამდებობის პირების და გამგებლის გადაწყვეტილებათა შესრულება; ორგანიზება გაუწიოს და გააკონტროლოს

მოსახლეობისათვის კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება; განახორციელოს ამ დებულებით დაკისრებული უფლებამოსილებანი.

3. გამგეობის ტერიტორიული ორგანო თავის საქმიანობას წარმართავს გამგებლის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

4. გამგეობის ტერიტორიულ ორგანოს აქვს საკუთარი ბეჭედი (თვითმმართველ ერთეულში შემავალი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის აღნიშვნით) და ბლანკი.

*ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №43-სსმV, №58, 02.12.2010წ., მუხ.1751*

**მუხლი 2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

1. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია:

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, საკრებულოს დებულება (რეგლამენტი), გამგეობის დებულება და ეს დებულება.

2. ტერიტორიული ორგანო თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

**მუხლი 3. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფის სფეროში**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) უზრუნველყოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გაცნობა;

ბ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობის გამოკითხვას და საჯარო განხილვების ჩატარებას; მოსახლეობასთან თვითმმართველობის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრას;

გ) უზრუნველყოს თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოსახლეობის წინადადებების, შენიშვნებისა და განცხადებების აღრიცხვა და მისი მიწოდება თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის;

დ) მოქალაქეებზე გასცეს საქონლის ადგილწარმოშობის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ცნობები;

ე) გაუწიოს კონსულტაცია მოსახლეობას თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ვ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები გამგებლის დავალებით.

**მუხლი 4. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება საბუჯეტო-საფინანსო სფეროში**

1. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, წინადადებების მომზადება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობის და საჯარო განხილვების ორგანიზება; ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობისგან გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია და გამგებლისათვის მათი მიწოდება;

ბ) კონტროლი ადმინისტრაციული ერთეულიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ხარჯებზე; გამგებლისადმი ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ადმინისტრაციულ ერთეულში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) წინადადებების მომზადება ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტიციების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ; მათი განხორციელების კოორდინაცია;

დ) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 5. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში**

1. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში განეკუთვნება:

ა) ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება;

ბ) მონაწილეობის მიღება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სხვა დოკუმენტების მომზადებაში;

გ) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავებაში; კონტროლი ამ პროგრამების განხორციელებაზე; გამგებლისადმი ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამოსილ პირ(ებ)ს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მაძიებელთა საცხოვრებელი ადგილის დადგენაში დახმარების გაწევა;

ე) თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების მოძიება და მათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის პროცედურის გავლაში ხელშეწყობა;

ვ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში რეგისტრირებული ოჯახების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიება და სააგენტოსთვის მიწოდება მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების სრულყოფის მიზნით;

ზ) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობის მიღება;

თ) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 6. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფეროში**

1. თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) წინადადებების შემუშავება ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვა და კონტროლი ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

გ) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 7. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება მიწისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში**

1. მიწისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) წინადადებათა შემუშავება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მიწის კადასტრის წარმოების ორგანიზება;

გ) ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების სარგებლობის დადგენილი წესების დაცვაზე;

დ) მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ; სტიქიური უბედურებებისა და ავარიების შემთხვევაში მოსახლეობის დასაცავად საჭირო ზომების მიღება;

ე) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 8. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დაგეგმარების, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში**

1. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დაგეგმარების, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში; ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებასა და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

ბ) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების შედგენასა და განხორციელებაში;

გ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების სამუშაოთა ორგანიზება;

დ) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 9. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში**

1. ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება სატრანსპორტო სისტემის და ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში;

ბ) გამგებლისათვის ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციულ ერთეულში გზების მშენებლობასა და რემონტზე;

გ) გზების, ტროტუარების, მოედნების მდგომარეობაზე ინფორმაციის წარდგენა;

დ) სარიტუალო მომსახურების სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ორგანიზება;

ე) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 10. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებული**

1. გამგეობის რწმუნებულს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ დებულების შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. გამგეობის რწმუნებული:

ა) წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;

ბ) ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და უზრუნველყოფს ტერიტორიული ორგანოს დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გ) გამგებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ტერიტორიული ორგანოს სამუშაო გეგმებს;

დ) ანაწილებს დავალებებს მოხელეებს შორის, უზრუნველყოფს სამუშაო გეგმებით და გამგებლის დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

ე) იბარებს ტერიტორიული ორგანოს მოხელეებს და აფასებს მათ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ვ) ამზადებს და გამგებელს წარუდგენს ანგარიშებს ტერიტორიული ორგანოს მიერ სამუშაო გეგმებით და გამგებლის ცალკეული დავალებებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს დადგენილი წესით ტერიტორიული ორგანოს საქმისწარმოებას;

თ) უზუნველყოფს მოხელეთა მიერ გამგეობის შინაგანაწესის დაცვას, შრომის დისციპლინას. დადგენილი წესით აფასებს მოხელეების საქმიანობას, გამგებელს წარუდგენს წინადადებებს მოხელეთა დაწინაურების, წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ;

ი) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და ტერიტორიული ორგანოს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. გამგეობის რწმუნებული ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

5. რწმუნებულის წარდგინებით სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

6. რწმუნებულის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სპეციალისტი, სპეციალისტის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის ბრძანებით ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურე.

**მუხლი 11. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები**

1. ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებს უფლება აქვთ:

ა) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინონ წინადადებები მათი საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

გ) ისარგებლონ საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;

დ) დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

2. ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები;

გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ თავისი პროფესიონალური მომზადების დონის ასამაღლებლად;

ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

**მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი**

1. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების მიღება მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №43-სსმV, №58, 02.12.2010წ., მუხ.1751*

**მუხლი 13. დებულების ძალაში შესვლა**

ეს დებულება ძალაშია მისი გამოქვეყნების დღიდან.